ლიდერის დამარცხება შეიძლებოდა...

თბილისი. დინამოს” სტადიონი. 19 ივნისი.

“დინამო” (თბილისი) – “ტორპედო” (მოსკოვი) 0:0.

“ტორპედო”: გლუხოტკო, მედაკინი, შუსტიკოვი, ოსტროვსკი, ვორონინი, მანოშინი, სერგეევი, ბატანოვი, ფალინი, გუსაროვი, დორონინი.

“დინამო”: კოტრიკაძე, ანთიძე, სიჭინავა, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, დათუნაშვილი, მელაშვილი, ბარქაია, ჟორდანია, იამანიძე, გრამატიკოპულო (კურტანიძე).

მსაჯი ე. კლავსი (რიგა).

თუ ვიხმართ მოძველებულ, საკმაოდ ტრაფარეტულ საფეხბურთო გამოთქმას, მატჩი დაიწყო უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში.

მაგრამ ეს ტრაფარეტი ამჯერად სრულად შეეფარდებოდა როგორც მატჩის წინ შექმნილ საერთო ვითარებას, ისე თვით უშუალოდ მინდორზე მომხდარ ამბებს. მართლაც, თბილისის გუნდი ამ საპასუხისმგებლო თამაშზე გამოვიდა ისეთი დანაკლისით თავის რიგებში, რომელსაც ფეხბურთში კატასტროფულს უწოდებენ. 11 ძირითადი ფეხბურთელიდან არ თამაშობდა 5 და თანაც ისეთი წამყვანი ძალა, როგორც – გუნდის კაპიტანი ღოღობერიძე, დაცვის ცენტრი თორაძე და სსრ კავშირის ნაკრების 3 წევრი – მესხი, კალოევი, ჩოხელი. დინამოელთა ისედაც მოკრძალებული რეზერვიდან კალენდარულ მატჩში ჩაბმულ იქნა 53 პროცენტი.

დანაკლისი ჰქონდათ სტუმრებსაც. არ თამაშობდა მათი უძლიერესი მარჯვენა ფრთა: მეტრეველი-ივანოვი და ამრიგად, ლიდერს თავის შემადგენლობაში გარკვეული უპირატესობა ჰქონდა ჯერ კიდევ თამაშის დაწყებამდე, რომელიც საფეხბურთო ციფრებით გამოიყურებოდა ასე – 5:2. დინამოელთა პერსპექტივა არც თუ ისე სახარბიელო იყო.

მაგრამ ყოველგვარი კომპლიმენტის გარეშე უნდა ითქვას, ჩვენმა ახალგაზრდულმა შემადგენლობამ საუკეთესოდ ჩაატარა თამაში და თუ მატჩი დამთავრდა უშედეგოდ – 0:0, ამით პირველ ყოვლისა კმაყოფილი უნდა იყვნენ მოსკოველები, რადგან მათი კარი უფრო ხშირად იმყოფებოდა რეალური საფრთხის წინაშე, ვიდრე მასპინძლებისა.

მაგალითად, მე-6 წუთზე ბარქაიამ მინდვრის სიღრმიდან მიღებული ბურთი კარგად დაამუშავა, გავიდა მარჯვენა ფლანგზე და ზედმიწევნით ზუსტად მიაწოდა ცენტრში, სადაც მთელი სისწრაფით შეიჭრა ჟორდანია. “დინამოს” ცენტრალური თავდამსხმელის დარტყმა მოხვდა ძელს და ბურთი მცველების მიერ მოგერიებულ იქნა.

ეს იყო ეპიზოდური შეტევა. თბილისელებს პირველ ტაიმში ეპყრათ ხელთ საერთო ინიციატივა. დათუნაშვილი და ზეინკლიშვილი, როგორც წესი, გამარჯვებული გამოდიოდნენ მინდვრის შუაგულში და სისტემატურად ამარაგებდნენ გადაცემებით ფორვარდებს. ისინი, თავიანთ მხრივ, ხშირად გამოდიოდნენ მოწინააღმდეგის დაცვაში, სადაც ყოველთვის მოქმედებდა ერთი უკან დაწეული ზედმეტი მოთამაშე.

“დინამოს” თავდასხმაში ლიდერის როლი აიღო ბარქაიამ. იგი ურთულეს სიტუაციაშიც კი ტექნიკურად უნაკლოდ ღებულობდა ბურთს და ანაწილებდა პარტნიორებს შორის, მაგრამ საერთო შეტევას საგრძნობლად ამუხრუჭებდა ის, რომ გრამატიკოპულო მარცხენა ფრთაზე არსებითად სტატისტის როლში იმყოფებოდა. იგი ან სულ არ ერეოდა თამაშში, ან რაღაც გაუგებარი აჩქარებით ცდილობდა თავიდან მოეცილებინა ბურთი და მასთან ერთად პასუხისმგებლობაც მისი შემდგომი გათამაშებისათვის.

“ტორპედომ” თბილისელ მაყურებელს ვერ აჩვენა ლიდერის საკადრისი თამაში. მოთამაშეები თითქმის არ ასრულებდნენ (ან, შეიძლება, ვერც ასრულებდნენ) რთულ ტექნიკურ ილეთებს და მთელ თამაშს აგებდნენ ხშირ გადაცემასა და სწრაფ სირბილზე. ერთადერთი, ვინც მიეკუთვნებოდა ე.წ. მაღალ კლასს, ეს იყო მანოშინი, რომელმაც სამართლიანად მოიპოვა საერთო მოწონება. თითქმის შეუმჩნეველი იყო საკავშირო ნაკრების წევრი ბატანოვი, ვინაიდან ინდივიდუალურ ბრძოლაში დათუნაშვილი მას აშკარა სჯობდა.

მეორე ტაიმში აშკარად დაიღალა ბარქაია, რომელიც, ეტყობა, არ იყო მატჩისათვის სავსებით მზად ინგლისელებთან მიღებული ტრავმის შემდეგ. ურთიერთობა თავდასხმაში საგრძნობლად დაირღვა, ბურთი თითქმის არ ჩერდებოდა “დინამოს” წინა ხაზზე და ამიტომ მოსკოველთა შეტევებს სულ უფრო და უფრო სახიფათო ხასიათი ეძლეოდა. საბედნიეროდ, ცენტრალური მცველის ფუნქციები

კარგად შეასრულა სიჭინავამ, ხოლო კარი ბრწყინვალედ დაიცვა კოტრიკაძემ. უკეთ, ვიდრე პირველ ტაიმში ითამაშა "ა" კლასის დებიუტანტმა ანთიძემ.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ დინამოელთა ახალგაზრდულმა შემადგენლობამ გაამართლა იმედები და ლიდერთან მიაღწია ფრეს, თუმცა მას შეეძლო გაეკეთებინა მეტიც.

ბ. ქორქია.
"ლელო", 21 ივნისი, 1960 წ.